

# ჩემი საქართველო



№79, მარტი, 2023

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდერობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწაფვიან!



ღმერთმა დალოცოს საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი, სტუდენტი–ახალგაზრდობა და მათი მშობლები.

# აბიტურიენტი 2023

რამოდენიმე წელია რაც რუსთავის აკადემიური ქალაქი, საგანმანათლებლო სივრცის ეპიცენტრად იქცა, აქ, ბაგა-ბაღიდან დაწყებული, განათლების თითქმის ყველა საფეხურია ერთ სივრცეში, ჩვენი გაზეთის ეს საინფორმაციო სივრცე კი მხოლოდ აბიტურიენტებს დავუთმეთ, უნივერსიტეტით დავიწყოთ: დიახ 2022 – წელს გავიარეთ ავტორიზაცია და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რუსთავის აკადემიური ქალაქის სასწავლო კორპუსი დაფუძნდა, სადაც ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდებით ხორციელდება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე:

ფსიქოლოგია, თურქეთისმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია, ფარმაცია, საექთნო საქმე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ჯანდაცვის პოლიტიკა, ბიოეთიკა, ბიოფარმაცია.

სასწავლებელი ავტორიზებულია! სასწავლო გადასახადი წელიწადში 1500 ლარი!

შემოხაზე 154 – და გახდი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული უნივერსიტეტის სტუდენტი!

აღნიშნული უნივერსიტეტის ფარგლებში, რუსთავის აკადემიურ ქალაქში ფუნქციონირებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომზადების აკრედიტირებული პროგრამა, რომლის ღირებულებაც 1600 ლარია!

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი, რომელიც რუსთავის აკადემიური ქალაქის მერვე კორპუსშია განთავსებული. აცხადებს მიღებას საფინანსო სერვისების სპეციალობაზე:

მიიღებიან IX სა XII კლას დამთავრებულები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – 17 წელი!

სტუდენტები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით!

კოლეჯის საპრაქტიკო პარტნიორები არიან „ლიბერთი ბანკი“ და სავაჭრო ცენტრების გაერთიანება „ფენიქსი“

სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა 9 (ცხრა) თვე.

გაიცემა სახელმწიფო დიპლომი

სასწავლო გადასახადი 1500 ლარი! – ამავე კოლეჯთან, წარმატებულად ფუნქციონირებს „რეგიონალური ტურისტული მეგზურის“ – მოკლევადიანი, უფასო პროფესიული მომზადების პროგრამა!

„EUCEN“-ის საერთაშორისო საგანმანათლებლო ევრო აკრედიტაციის (აშშ) მფლობელი და IEAC საერთაშორისო საგანმანათლებლო სააკრედიტაციო კომიტეტის მიერ (ბელგია) აკრედიტირებული საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრი აცხადებს მიღებას 2022-2023 სასწავლო წლისთვის გასაუბრების საფუძველზე IX და XII კლასდამთავრებულთათვის, ასევე მიიღებიან X, XI, XII კლასის მოსწავლეები:

კომპიუტერული ტექნოლოგიები, კომპიუტერული ინჟინერია, დაცვა-პატრულირება, ბანკის ოპერატორი, ექთნის თანაშემწე, ფარმაცევტის თანაშემწე, კბილის ტექნიკოსი, ვეტერინარი, ბაგა-ბაღის აღმზრდელი, კორესპონდენტი. გიდი, ტურიზმი.

სწავლება სამწლიანია!

სასწავლო გადასახადი წელიწადში 900 – ლარი! კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამენოვან, ოქროსბეჭდიან დიპლომს!

რუსთავის აკადემიური ქალაქის მეოთხე კორპუსი, წელს მეორედ განახორციელებს მიღებას საქართველო-პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის სასწავლო ცენტრი

არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით გასაუბრების საფუძველზე IX და XII – კლასდამთავრებულთათვის ასევე მიიღებიან X, XI, XII – კლასის მოსწავლეები სკოლისაგან მოუწყვეტლივ:

დეტექტივი და კრიმინალისტიკა, საბაჟოს წარმომადგენელი, საბაჟო დეკლარაციების სპეციალისტი, ბიზნესის მართვა, საკადრო საქმის სპეციალისტი, სოციალური მუშაკი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი, ტელე-რადიო ოპერატორი, სამედიცინო კოსმეტოლოგი

სწავლება სამწლიანია!

სასწავლო გადასახადი წელიწადში 1000 – ლარი!

კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელ სამენოვან, დიპლომს! რომლითაც შეუძლიათ უგამოცდოდ ჩაირიცხონ ქ. ლოძის (პოლონეთი) უშიშროების უმაღლეს სკოლაში, დაუსწრებელ განყოფილებაზე.

საბუთების მიღება დაიწყო!

მისამართი: ქ.რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5; აკადემიური ქალაქი

ტელ: (0341) 22-25-00; 27-99-00; 27-94-00; 27-96-00; 25-37-00;

# “100 პროფესიონალი ქართველი ქალი“



საქართველოში არსებული ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი უფლებების, მოვალეობების კანონთან და რეალობასთან შესაბამისობას – მიეძღვნა საქართველოს პროფესიონალ ქალთა ასოციაციის „100-ქართველი ქალის” მიერ ორგანიზებული კონფერენცია, რომელიც რუსთავის აკადემიური ქალაქის სარკეებიან დარბაზში გაიმართა.



რეგლამენტით გათვალისწინებული რეგისტრაციის გავლის შემდეგ, კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ასოციაციის თავმჯდომარემ, პროფესორმა ნათელა ნატროშვილმა, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრე საზოგადოებას საქართველოს პროფესიონალ ქალთა ასოციაციის პროგრამა და სტრუქტურა ასევე შეეხო ქალთა უფლებებს, მათ მოვალეობებს თეორიულ და რეალურ ასპექტში, სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რუსთავის აკადემიური ქალაქის სასწავლო კორპუსის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი გენრიეტა აბესაძე, კვალიფიციური ადვოკატი მარინა ძამსაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტი ნათელა მუხულიშვილი, თსსუ დეპარტამენტის უფროსი ლია კიკალიშვილი, განათლების ექსპერტი, ქ.რუსთავის მეექვსე საჯარო სკოლის დირექტორი ნაირა ქარუხნიშვილი, რუსთავის საპატიო მოქალაქე, დამსახურებული ჟურნალისტი ლია მარტაშვილი, დიპლომატირებული მედიკოსი ირინა სულეპანოვა.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა რუსთავის აკადემიური ქალაქის დამფუძნებელი, აკადემიკოსი გარი ჩაფიძე, რომელმაც აღნიშნული კონფერენციის ფარგლებში ევროპის სამეცნიერო-პედაგოგიური პარლამენტის სახელით, ქართული კულტურისა და ხელოვნების ფლაგმანის საპატიო წოდება და ოქროს მედალი გადასცა საქართველოს სახალხო არტისტს, ქალბატონ ნათელა მუხულიშვილს.

...და მაინც, იყო მსჯელობა, დისკუსია, თანამედროვეობისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვა-ანალიზი, რისთვისაც უაღრესად საპატივცემულო, კვალიფიციური და პირდაპირი მნიშვნელობით ელიტარული აუდიტორია უდიდეს მადლობას უხდიდა ასოციაციის თავმჯდომარეს პროფესორ ნათელა ნატროშვილს, მინდობილი საქმის უნარიანად წარმართვისთვის.



კონფერენციის დასასრულს გაიმართა სადღესასწაულო ვახშამი.

# ნახევარი საუკუნე პედაგოგიკაში!



იუბილე, ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღია ადამიანის ცხოვრებაში, მითუმეტეს თუ ეს იუბილე ორმაგია, მისი აღნიშვნა, არა მხოლოდ თავად დაბადების დღის ადრესატისათვის, არამედ მისი საყვარელი ადამიანებისთვისაც, ოჯახის წევრებისა და კოლეგებისათვისაც უმნიშვნელოვანესია, სწორედ ორმაგ იუბილეზე, დაბადებიდან 75 და პედაგოგიური მოღვაწეობის 50-ე წლის აღსანიშნავად მიიწვია დამსახურებულმა პედაგოგმა გენრიეტა აბესაძემ, რუსთავის აკადემიური ქალაქის ოვალურ დარბაზში, სადღესასწაულო შეხვედრაზე მისი ნიჭისა და პროფესიონალიზმის თაყვანისმცემლები... და იყო უამრავი, გულწრფელი, სიყვარულით აღსავსე მილოცვა, პროზა თუ ლექსი... დიდი გზა განვლო პედაგოგიკაში ქალბატონმა გენრიეტამ, დიდი და სასახელო, იგი ამჟამად საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რუსთავის აკადემური ქალაქის სასწავლო კორპუსის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსია, რომელიც მოწინავეობას არავის უთმობს, სწორედ ამიტომ აღნიშნული უნივერსიტეტის რუსთავის სასწავლო კორპუსის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, სადღესასწაულო შეხვედრის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ფლაგმანის საპატიო წოდების სიგელი და ოქროს მედალი გადასცა იუბილარს, რომელსაც თბილად მიესალმნენ კოლეგები: თამარ გოგაძე, ნონა ლორია, მზია ანთიძე, გივი მოსიაშვილი, ლია მარტაშვილი, ეთერი ჭიპაშვილი, თამაზ გველუკაშვილი, ნათელა ნატროშვილი, მადონა ფიფია, ეკა გორდეზიანი, სოსო პირველი, მანანა ჩხაიძე, ლეილა გეგეშიძე და სხვები...



დიახ, 75-წელი, ეს სიბრძნისა და გამოცდილების სინქრონია, სიყვარულითა და ჰარმონიით, რომ უერთდება წარსულიდან – მომავალს!



# სურვილებისა და შესაძლებლობების ჰარმონია!



– გილოცავთ სამოცდამეთორმეტე წლის დაბადების დღეს! ვვარაუდობ, რომ აღნიშნულ ასაკში, თქვენ გადაკვეთეთ თქვენი მიწიერი ცხოვრების ეკვატორი, მზე ზენიტშია, კარიერა პიკზეა, სურვილები კი ჰარმონიაშია შესაძლებლობებთან, წინ კიდევ მრავალი წელი გელით აქტიური, თქვენ მყარად ეყრდნობით წარსულ გამოცდილებებს... ცოდნა და მატერიალური შესაძლებლობები, ის რაზეც მხოლოდ ახალგაზრდობაში შეგეძლოთ ოცნება – ახლა საკმაოდ რეალურია! დიახ თქვენი წლები თქვენი სიმდიდრეა! – ასე მიმართა სადღესასწაულო საღამოზე საქართველო-უკრაინის სოციალური ურთიერთობათა ინტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ ამავე ინსტიტუტის სამართლის საგნის პედაგოგს ქალბატონ ზეინაბ ლამაზოშვილს, რომელმაც ქართული სამართლის ფლაგმანის საპატიო წოდება და ოქროს მედალი გადასცა იუბილარს, რამეთუ ქალბატონმა ზეინაბმა მართლაც საქმის სიყვარულითა და პროფესიული სირთულით განვლო სამოცდათორმეტი წელი! გამომძიებელი, პროკურორი, შემდეგ სამუშაო გამოცდილების გამზიარებელი განათლების სფეროში და რაც ყველაზე მთავარია, კარგი მეუღლე, მზრუნველი დედა, მოსიყვარულე ბებია და მისაბაძი მოქალაქე... სწორედ ასე გულთბილად ახასიათებდნენ აღნიშნულ საღამოზე, ქ.რუსთავის აკადემიური ქალაქის ჩაის სახლში, იუბილარ ქალბატონს, კოლეგები: როზა გულისაბედაშვილი, მაკა სამხარაძე, ქეთევან ცისკარაშვილი, გენრიეტა აბესაძე, ეკა პაპუნაშვილი, ლეილა გეგეშიძე, ეთერ ჭიპაშვილი, ნაზიბროლა კაპანაძე, რუსუდან ხაჩიძე, მანანა ჩხაიძე, თინათინ ხაბუზანია და სხვები, მაგრამ მაინც, ყველაზე საინტერესო და მისაბაძი, სამაგალითო დედის, ზეინაბ ლამაზოშვილის შვილებისაგან ნინო და მარიამ ილაურებისაგან მილოცვა იყო...



ეს საღამო, კიდევ ერთი ნათელი მაგალითი გახლდათ იმისა, თუ როგორი ბედნიერებაა იცხოვრო და გჯეროდეს, გიყვარდეს და უყვარდე საზოგადოებას უანგარო სიყვარულით...

# ოქროსფერი შემოდგომა გრძელდება...




გურამ ქაშაკაშვილი-საერთაშორისოდ ცნობილი ინჟინერი, მეცნიერი, პოლიტიკოსი. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი. იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ჩამომსხმელი, ოსტატი, უბნის უფროსი. შემდეგ საამქროს უფროსის თანაშემწე, საამქროს უფროსი, იყო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი. 1983-1994 წლებში კი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი. 1994 წლიდან - სამთო მეტალურგიული კონცერნის პრეზიდენტი. 1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი საარჩევნო ბლოკი “საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიიდან.” და საქართველოს მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი საარჩევნო ბლოკი “საქართველოს მოქალაქეთა კავშირი.”

არის 140-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (5 მონოგრაფია), 65 გამოგონების ავტორი. მიღებული აქვს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1964, 1982), დამსახურებული გამომგონებლის წოდება (1986). სადოქტორო დისერტაციის თემა “ლითონის ღუმელგარეშე დამუშავების უწყვეტი ჩამოსხმის სრულყოფა, ზემტკიცე მილების წარმოება”, დაიცვა 1990წელს.

... და ახლა, 90 წლის იუბილეზე მიიწვია მისივე თაყვანისმცემლების ნაწილი, დიახ ნაწილი, რამეთუ მისი მადლიერი, მისი დამფასებელი, მისი ნიჭით აღფრთოვანებული... ძალიან ბევრია, სწორედ ბატონი გურამ ქაშაკაშვილის მადლიერებასა და პროფესიონალიზმზე ისაუბრა საიუბილეო სხდომის გახსნისას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა დავით გურგენიძემ, ასევე მისი ნიჭის თაყვანისმცემლებმა ქართველმა მეცნიერებმა ვრცლად ისაუბრეს ქართული მეტალურგიის მამის, XXI-საუკუნეში ექვსენოვანი მეტალურგიული ტერმინების და სამთო-მეტალურგიული ენციკლოპედიის ორტომეულის, საქართველოდან სამი რეგისტრირებული მეცნიერული აღმოჩენის ავტორს, სახელმწიფო პრემიების ოთხგზის ლაურეატს, პროფესორ გურამ ქაშაკაშვილს დაბადების 90-ე და საწარმოო-სამეცნიერო მოღვაწეობის 65-წლის საიუბილეო საღამოზე, ქართველ მეცნიერებს არც რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები ჩამორჩნენ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ლ. ივანიცკაია, აკადემიკოსები: ო. სოსკოვეცი და ი. რახმანინი, შემდეგ უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: ვ. შიროკოვი, ვ. მაზური, ა. გრინიოვი, ს. გრიშენკო თბილი მოგონებებით წარდგნენ ასეულობით მსმენელის წინაშე... მერე ისევ ქართველებმა აიღეს სიტყვა და რუსთავიდან, ზესტაფონიდან, ბაღდათიდან... მოვლენილმა დელეგაციებმა, იმ კეთილ კვალზე ისაუბრეს, რომელიც ბატონი გურამის უდიდეს დამსახურებებზე გადის... რუსთავის მერიის სახელით იუბილარს მიულოცა და მერის ნინო ლაცაბიძის სამადლობელი წერილი საჩუქართან ერთად გადასცა რუსთავის აკადემიური ქალაქის დამფუძნებელმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, ასევე ზესტაფონისა და ბაღდათის ადმინისტრაციული ერთეულების პირველმა პირებმა ტკბილ მოგონებად გაიხსენეს გურამ ქაშაკაშვილთან თანამშრომლობით გატარებული წლები... ეს ღონისძიება იყო ნიმუში, სამაგალითო, დამსახურებულად ნაღვაწი, განვლილი წლების აღიარებისა...

## ტყიბული

# ღირსეული ადგილი

ჩვენი, ტყიბულის სასწავლო ცენტრი, სულ რამოდენიმე წელია რაც დაფუძნდა. დავიწყეთ ფუნქციონირება, ნელ-ნელა ვიზარდეთ და დღეს, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრებს შორის, ერთ-ერთი ღირსეული ადგილი უჭირავს ჩვენს სასწავლო ცენტრს.

დიახ, ტყიბულის სასწავლო ცენტრია ჩვენი მშობლიური სასწავლებელი, აქ შევიძინე საუკეთესო მეგობრები, თვით ლექტორ-მასწავლებლებიც ძალიან მეგობრულად და თბილად გვეპყრობიან. გვაძლევენ სტიმულს, რათა კარგად ვისწავლოთ და საუკეთესონი ვიყოთ.

დაიწყო სასწავლო წლის მეორე სემესტრი. მართალია, გარეთ ცივა, მაგრამ შენობაში თბილი ატმოსფერო და სტუდენტთა მხიარული შეძახილები ისმის. გვიხარია ერთმანეთთან შეხვედრა. თითოეული ჩვენგანი ვცდილობთ მოწინავენი ვიყოთ და ჩვენი სწავლითა და მონდომებით ინსტიტუტის სასწავლო ცენტრებს შორის ტყიბულის სასწავლო ცენტრს კვლავაც ღირსეული ადგილი ეჭიროს.

**ნინო აბულაძე,**
ქ. ტყიბულის სასწავლო ცენტრის
ბაგა-ბაღის აღმზრდელის სპეციალობის,
მესამე კურსის სტუდენტი

## ლაგოდეხი

# ახალი შემართებით

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტს არაფორმალურ პროფესიულ განათლებაში კარგა ხანია თავისი ხელწერა აქვს. მისი ეგიდით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სასწავლო ცენტრები ფუნქციონირებენ, მათ შორის კახეთის რეგიონშიც: თელავში, ლაგოდეხში, საგარეჯოში...

მე ლაგოდეხის სასწავლო ცენტრის სტუდენტი ვარ, მიყვარს ჩემი სასწავლებელი, მეგობრები, ლექტორ-მასწავლებლები, რომლებთან ძალიან თბილი და კოლეგიალური ურთიერთობა გვაქვს. დაიწყო სასწავლო წლის მეორე სემესტრი. მონატრებული სტუდენტები და პედაგოგები სიხარულით შევხვდით ერთმანეთს. ახალი შემართებით და მონდომებით შევუდექით სწავლას. გვიხარია ყოველი ახალი დღის გათენება, ერთმანეთთან შეხვედრა. ყოველდღე რაღაც ახალს და საინტერესოს ვიგებთ სპეციალობაში, ვცდილობთ წარმატებულნი ვიყოთ, რათა შემდეგ ჩვენი შეძენილი ცოდნა ცხოვრების გზის გაკვლევაში დაგვეხმაროს.

**თეონა გაფრინდაშვილი,**
ქ. ლაგოდეხის სასწავლო ცენტრის
ფარმაცევტის თანაშემწის სპეციალობის,
მესამე კურსის სტუდენტი

# სიკეთის ჰიმნის სიმფონია



— „არ უსურვოთ ადამიანებს ჯანმრთელობა და სიმდიდრე, უსურვეთ იღბალი, მხოლოდ იღბალი და სხვა არაფერი იღბალის გარდა! რამეთუ „ტიტანიკზე“ ყველა მდიდარი და ჯანმრთელი იყო, მაგრამ იღბლიანები ერთეულები...“ — ეს უინსტონ ჩერჩილის დამოძღვრაა — დიახ, ჭეშმარიტებაა... და მაინც, ადამიანები ხშირად წითლდებიან, როცა ლამაზი სიტყვების ან სადღეგრძელოს თქმა უნდათ... უფრო მეტი ნერვიულობითა და სიწითლით ამბიციობენ ადრესატები... ჩვეულებრივი მილოცვა ასე ჟღერს: — „ბედნიერებას, სიუხვეს, ჯანმრთელობას გისურვებ...“ სურვილები ცუდი როდია, მაგრამ იმდენად ბანალური და მისაბეზრებელია, რომ... მოდით ჩვენი კრეატივი გამოვაჩინოთ და რუსთავის აკადემიური ქალაქის „ჩაის სახლის“ საიუბილეო შეხვედრებზე ერთურთს მხოლოდ იღბალი და მასზე აკინძული ყველა ბედნიერება ერთად ვუსურვოთ... დიახ იღბალი! იღბალი იყო, დაბადებიდანვე რომ ანებივრებდა უსათუთეს, უსაყვარლესსა და უმშვენიერეს ეთერ ჭიპაშვილს! — ჰო, იღბლიან ოჯახში დაიბადა, განათლება, იღბალის ჩარევით, სასურველი მიიღო, იღბალი დაჰყვება ყველა იმ თანამდებობებზე დანიშვნის დროს, ნომენკლატურა, რომ ერქვა და იერარქიული საფეხურებით ადიოდა მაღლა და მაღლა... იღბალი დახვდა აქ, ჩვენთან, აკადემიურ ქალაქში, წარსულში წარმატებული შრომა, რომ კიდევ ერთხელ გადაუფასეს და პოლონური კოლეჯის ხელმძღვანელობა ანდეს!



მოსიყვარულე მეუღლე, საუკეთესო შვილების აღმზრდელი დედა, დიდი ოჯახის — დიდი დიასახლისი, სამაგალითო მოქალაქე, ერთგული თანამშრომელი და დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შემსრულებელი პიროვნებაა... ეს არასრული ჩამონათვალია იმ უდიდესი დამსახურებებისა რომლითაც თანაქალაქელები ამკობენ რუსთავის მკვიდრს. დამსახურებულ პედაგოგს ქალბატონ ეთერი ჭიპაშვილს, რამეთუ მისი ცხოვრების ყოველი დღე, სიკეთის ჰიმნის სიმფონიაა...

## ქუთაისი "რა? სად? როდის?"



საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ქალაქ ქუთაისის სასწავლო ცენტრში, (განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი მაყვალა ქობულაძე), ჩატარდა სტუდენტთა ფინალური ტური, ინტელექტუალურ თამაშში – „რა? სად? როდის?"

თამაშის მიზანი გახლდათ სასწავლო ცენტრის სტუდენტთა ცოდნის გაფართოება, შემეცნებითი ინტერესის, ინტელექტის განვითარება, ცოდნის უწყვეტი გაუმჯობესების სურვილის აღზევება; მეგობრული და თანამშრომლობრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება, გუნდური მუშაობის უნარი, ინტელექტუალური განვითარების პროპაგანდა და ახალგაზრდების თვითრეალიზაცია.

თამაშში მონაწილეობდნენ სასწავლო ცენტრის გუნდები:

1. "ისტორიკოსები"
2. "თამარის ეპოქა"
3. "ოქროს ხანა"

კლასიკური თამაშის ფორმატის მიხედვით, გუნდებმა თხუთმეტ კითხვაზე გასცეს პასუხი.

კითხვა-პასუხი მიმდინარეობდა წუთობრივად.

ფინალურ ტურში, მცირე სხვაობით გაიმარჯვა გუნდმა "ისტორიკოსები", რომელთაც სიმბოლურად გადაეცათ "ბროლის ბუ".

თამაში ჩატარდა ინტერაქტიულ, თბილ და მეგობრულ ატმოსფეროში, მომავალი მრავალფეროვანი საქმიანობის პერსპექტივით.

ინტელექტუალური თამაში მიჰყავდა სამართლის პედაგოგს, მაიკო კაშიას.



## იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი

ორასორმაცდაათი ათასამდე ნახვა ფეისბუქ გვერდზე, ამდენივე მოწონება და გაზიარება... დიახ, სრულიად საქართველომ მიულოცა დამსახურებული ჯილდო, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება და ოქროს მედალი, ცნობილ ტელე-წამყვანს, თეატრმცოდნეს და პედაგოგს ნიკოლოზ წულუკიძეს, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის რექტორმა, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ გადასცა ტელეკომპანია „იმედის" სტუდიის პირდაპირ ეთერში.



– ბევრი რამ მსმენია რუსთავის აკადემიური ქალაქის შესახებ, ამიტომაც ჩემს გუნდთან ერთად ვაპირებ გესტუმროთ თქვენს წალკოტში... – ასე დააანონსა თავისი ვიზიტის შესახებ ნიკა წულუკიძემ, რომელსაც ჩვეული ტრადიციებით, ღირსეულ მასპინძლობას გაუწევს აკადემიური ქალაქი...

## აკადემიურმა ქალაქმა კლასიკური გიტარის საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლა



ორ დღეს მიმდინარეობდა რუსთავის აკადემიურ ქალაქში, სამ ლოკაციაზე ერთდროულად გაშლილ სივრცეში, კლასიკური გიტარის საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც სწორედ აკადემიური ქალაქის მხარდაჭერითა და სტუდია "მომავალი ჩვენია," ნიჭიერი ახალგაზრდების ინტერესთა დამცველი საერთაშორისო ასოციაციის ინიციატივით ჩატარდა, საყოველთაოდ ცნობილი ვირტუოზი გიტარისტის ტარიელ სუარის ხელმძღვანელობით, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა ადმინისტრაციული ცენტრებიდან, კლასიკური გიტარის მოტრფიალე, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები მონაწილეობდნენ, პირველი დღე სემინარულ მუშაობას დაეთმო, ხოლო მეორე დღეს, ფესტივალის ფარგლებში კლასიკური გიტარის კონკურსი გაიმართა, რომლის შედეგებიც პირადად ტარიელ სუარმა შეაჯამა და გამარჯვებულებს სპეციალური სერთიფიკატები, საჩუქრებთან ერთად გადასცა, საღამოს კი წარუშლელი შთაბეჭდილებით აღავსო ვირტუოზმა გიტარისტმა მის მიერვე შესრულებული ნომრებით და ბოლოს, აკადემიური ქალაქის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, ვირტუოზ გიტარისტს ტარიელ სუარს ფესტივალის მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარებისათვის აკადემიური ქალაქის საპატიო მოქალაქის წოდება და სპეციალური სიგელი გადასცა.



## 30-წელი ერთ ორგანიზაციაში



ჰო, ზუსტად სამიოდე ათეული წლის წინ, ქ.ჭიათურის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიაში, ჟურნალისტიკის სპეციალობის მისაღებ გამოცდებზე, სხვა უამრავ მსრუველებთან ერთად, საბუთები ერთმა კაფანდარა გოგონამ შემოიტანა, მაშინ ერთ აბიტურიენტზე 11 ჩარიცხვის მსურველი გახლდათ და კონკურსის მასშტაბებიც დიდი იყო... იმ ხანად აღნიშნულ აკადემიას ვხელმძღვანელობდი, ოცდასამი თუ ოცდაოთხი წლის ახალგაზრდა პროფესორი, თუმცა, ჩასარიცხ აბიტურიენტთა ასაკის 92%, ასაკით ჩემზე საკმაოდ უფროსი იყო... პიროვნება, ვის შესახებაც ამ წერილში უნდა მოგითხროთ, ასაკით ისიც ჩემზე უფროსი გახლდათ, საშუალო სკოლის შემდეგ, თბილისში ჰქონდა დამთავრებული სახელმწიფო ტექნიკუმი და ახლა უმაღლესი განათლებისთვის, ჟურნალისტიკის სპეციალობის, შესარჩევ წერით ტურზე, თემა „ჩემი იდეალი", ისეთი შემოქმედებითი აღმავლობით წერა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ, როგორც მიმღები კომისიის თავმჯდომარეს, უმაღლესი ქულით შეფასებისთვის წარმომიდგინა... გავხსენი, დავთანხმდი, დავთანხმდი და ჩვენივე, მრავალტირაჟიან, საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთში მოვიწვიე თანამშრომლობისთვის... მერე, კრიალოსნებივით ჩამოიმარცვლნენ წლები, ჯერ კორესპონდენტი იყო, მერე ლიტ. მუშაკი, განყოფილების გამგე, კადრების ისნპექტორი... ჩვენდამი დაქვემდებარებული სხვადასხვა სტრუქტურებში... ამჟამად რუსთავის აკადემიური ქალაქის საფინანსო-საბიუჯეტო მიმართულებას ხელმძღვანელობს... მოწინავე თანამშრომელი, ერთგული მუშაკი, ერუდირებული პიროვნება, ფუტკარივით მშრომელი, ახლობელთა შემწე და ნუგეში... ასე ახასიათებდნენ თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებულ უნარიან ქალბატონს, ნაზიბროლა კაპანაძეს, მის შემოქმედებით საღამოზე თანამშრომლები, ახლობლები, სამოქალაქო აქტივისტები... აკადემიური ქალაქის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ მადლობის წერილი და ფასიანი საჩუქარი გადასცა იუბილარს!



სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 27-99-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369